

დედა

„დედა“ ჟურნალი
იღბინე, ქართველი მხარელი
და შენც, ქართველი, სწავლილ
სამშობლო გაახარე

572 / 2
1948



№ 12

1948



„აყვავი, ტურფა ქვეყანაში,
იღბინე, ქართველთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო.“

საქართველოს ალკა ცენტრალური
კომიტეტის ურთავლთმითარი ორგანო
საბავუო ეურნალი მცირეწლოვანთათვის

ახალი, 1949 წელი

ჩვენი პატარა მკითხველებო! რამდენიმე დღის შემდეგ დაგება ახალი, 1949 წელი. კრემლის საათი 1948 წლის 31 დეკემბერს, ღამით, დარკავს თორმეტჯერ... მშობლიური მოსკოვი მოგვილოცავს 1948 წლის გამარჯვებით დასრულებას, ახალი—1949 წლის დადგომას.

1948 წელმა დიდი სიხარული და ბედნიერება მოუტანა ჩვენს ხალხს. ეს იყო ომის შემდგომი ხუთწილის მესამე წელი. ჩვენი ქვეყნის მშრომელები თავდადებულად შრომობდნენ სამშობლოს საკეთილდღეოდ. აშენდა მრავალი ქარხანა და ფაბრიკა, ახალი სკოლებით, კლუბებით, თეატრებით დამშვენდა ქაღაჭები და სოფლები. უხვი მოსავალი მოიყვანეს სახელოვანმა კოლმურნეებმა; ცხოვრება უფრო საამური და ბედნიერი გახდა.

საბჭოთა ქვეყანამ ამ წელს იღღესასწაულა დენიწურ-სტალიწური კომკავშირის 30 წლისთავი, საბჭოთა მთავრობამ კომკავშირი დენიწის ორდენით დააჯილდოვა, კომკავშირი ოთხჯგზის ორდენოსანი გახდა.

ურველი ბეიმით ავღნიშნეთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 31 წლისთავი. ამ საბეიმო დღეებს ჩვენი ქვეყნის მშრომელები ახალი გამარჯვებით ხეებობდნენ.

ჩვენი ქვეყნის ბედნიერმა ბავშვებმა თავი ისახეღეს სწავლასა და შრომამში, უფრო ბეტიონი და სწავლისმოყვარენი გახდნენ. მათ ღირსეულად დაიმსახურეს უფროსების, მათი აღმზრდეღების პატივისცემა და სიყვარული.

ტურნად „დიღას“ რედაქცია უსურვებს ჩვენს მკითხვეღებს მომავალ, 1949 წელს ისწავღონ უფრო კარგად, მეტი სმონღომებით. თვითუღი თქვენგანისათვის უფრო ძვირფასი უნდა გახდეს ძვირფასი დავრენტი ბერიას სიტყვები: „მოსწავღელთა გმირობა და სიმამაცე ეს ფრიადღე სწავღაა“. გვეურა, გამართღებთ ამ მოწოღებას, აღიზრღებთ სახეღოვან ადამიანებად, საუკეთესო სწავღით უპასუღებთ დიდი სტალიწის ამაგსა და მზრუნვეღობას.

ახალი, 1949 წელი მოახლოვდა... გისურვებთ წარმატებებს სწავღასა და შრომამში.

მრავად ახალ წელს დავსწარით ჩვენო პატარა მეგობრებო!



4507

ბავშვები ბედაღის სახლთან, გორში

ნახატი ალ. ვიგლასვილით





ანდრე ლომიძე

ნახატი გ. ჩიჩინაშვილისა

გემთშემკეთებელი სახელოსნოს საყვირ-
მა როცა მეორედ დაიბუბუნა, შალვა სა-
ზღინკლო საამქროში შევიდა, საწვიმარი
კედელზე ჩამოჰკიდა.

შალვას შეგირდი, თმააბურღული,
შავგვრემანი ბიჭუნა გელა ფუსფუსებდა.

— ეს რა გიქნია? — ღიმილით მიმართა
გელას შალვამ და ბლომად დაყრილ
რკინის რგვალ ნაჭრებსა და ბურღებს სია-
მოგნებით დახედა.

გელას შერცხვა, თავი დახარა და ღი-
მილითვე მიუგო:

— ვიდრე ბურღებს შეარჩევდეთ და
სამჭედლო საამქროდან ამ რკინებს მოი-
ტანდეთ, ნახევარ საათს ხომ დაკარგავთ,
ბიძია?!

— ყოჩაღ! — შალვამ თავზე ხელი გა-
დაუსვა. — მაშ, გინდა, რომ შენმა ოსტატ-
მა სხევებს აჯობოს? კარგად მოგიფიქრე-
ბია...

შალვამ გახვრეტულ რკინის პატარა
ნაჭერს ბურღი დააჭირა და დაატრიალა.

საყვირმა მესამედ დაიბუბუნა. მაშინ
გაისმა ღვედების ტლაშენი, ახმაურდნენ
სახარატო დაზგები, აზრიალდნენ გრდემ-
ლები, მოართეს ქშული და წითელი და
მომწვანო ფერის ალის ენები ათამაშეს
ქურბმა.

სახელოსნო ამუშავდა.

* * *

— დღეს ოთხასორმოცდაათი ქანქიკი
გაგიკეთებია... ჩვენი გაზეთის ფოტორე-
პორტიორმა მუშაობის დროს სურათი
გადაგიღო, — უთხრა შალვას დირექტორმა.

გელას სიხარულისაგან თვალებში გაუ-
ბრწყინდა, დირექტორსა და შალვას თვა-
ლი მოარიდა, თითქოს დანაშაული რამ
ჩაედინოს.

შალვას ეამა ქება, მაგრამ დირექტო-
რის ნათქვამმა მაინც ჩააფიქრა.

— ოთხასზე მეტი დღეს არ გამიბურ-
ღია. რატომ თქვა ოთხასორმოცდაათი
გააკეთეო?

რამდენიმე დღის შემდეგ დირექტორმა შეაჩერა შინისკენ მიმავალი შალვა.

— მომილოცნია, შალვა! გუშინ რეკორდი დაგიმყარებია. ჩქარა კანჭიკის საჭრელ დაზგებს მივიღებთ. დარწმუნებული ვარ, შესს ხელში დაზგები სასწაულს გვიჩვენებს.

შალვამ თვალები გაოცებით დაახამხამა, დირექტორს მიაშტერა.

დირექტორმა ხელი მაგრად ჩამოართვა და წავიდა.

შალვა ერთხანს გაბრუებული იდგა.

— ოთხასი კანჭიკი გავაკეთე, რა შუაშია რეკორდი? ვერაფერი გამიგია... — თავისთვის ჩაილაპარაკა, მიტრიალდა და დიდხანს თვალი არ მოუშორებია დირექტორის ზურგისათვის.

დირექტორის სიტყვებმა შალვა საგონებელში ჩააგდო. ვერ მოითმინა, შესვენების დროს აღმრიცხველთან მივიდა და სთხოვა:

— თუ ძმა ხარ, დაეთარი გადმოიღე, მინდა თვალი გადავათვალო ჩემს ყოველდღიურ ნამუშევარს.

ხმელმა, მაღალმა აღმრიცხველმა შალვას დაეთარი მიაწოდა. შალვამ დაეთარი გადაშალა და გაშრა.

— შეცდომაა, ხუთასი კანჭიკი არასოდეს დამიმზადებია. — წამოიყვირა მან.

— დაბერდი, ჩემო შალვა, მესხიერებამ გილაოტა. ხომ ხედავ, აღარ გახსოვს რამდენი გააკეთე. აწი მინც უნდა დაიჯერო, რომ ჩემსავით დაბერებული ხარ.

— უთუოდ დაბერდი... — ძლივს წარმოსთქვა შალვამ და მოიწყინა.

* * *

გემთშემკეთებელი სახელოსნოს მუშა-მოსამსახურეთა კრება დასასრულს უახლოვდებოდა.

— მომეცით სიტყვის ნება! — უცებ გაისმა ხალხით სავსე დარბაზში.

ყველამ შალვასაკენ მიიხედა. აღჯნებულნი შალვა ტრიბუნისაკენ გაემართა.

— ამხანაგებო! უღრმესი მადლობა მომიხსენებია საპატრო სიგელისათვის, ჯილდოსთვის, მაგრამ, უნდა განვაცხადო, ამხანაგებო, ხუთასი კანჭიკი არ გამოიკეთებია! ბევრს ვფიქრობდი, ვისი ნამუშევარი ემატება ჩემსას მეტქი... როგორც იცით, ყრველდღიურად სამასი კანჭიკი უნდა დამეზადებინა, ასეთი ვალდებულება ავიღე, ოთხასამდე ვაკეთებდი, მაგრამ, ამ ოთხასს თურმე, კიდევ ემატებოდა. ჩემი მოწაფე გელა ჩემზე ადრე მოდიოდა აქ, სახელოსნოში, კანჭიკებს აკეთებდა, მერე სადმე მიაწყობდა, რომ არ დამენახა, თავის ნამუშევარს ჩემსას უმატებდა და აღმრიცხველს აბარებდა. ყველაფერი ეს გუშინ გავიგე. საყვირმა პირველად რომ დაიბუბუნა, სახელოსნოში შევედი, და, აი, რას ვხედავ: გელა ოფლში გაღვრილა, გამწარებით ატრიალებს ბურღს, და კანჭიკებს აკეთებს. მოულოდნელად თავს რომ დავადექი, ყველაფერში გამოტყდა. საპატრო სიგელში, — რომლითაც დამაჯილდოვეთ, ჩემი შეგირდის გვარიც უნდა იყოს ჩაწერილი.

დარბაზში მქუხარე ტაში ატყდა.

— სად არის გელა? — იკითხა სახელოსნოს დირექტორმა.

გელას შერცხვა, დარბაზიდან რომ გადიოდა ვილაკამ სტაცა ხელი, მერე აიტაცეს და შალვას გვერდით დააყენეს.

თაფალუნული, შეწითლებული, ბედნიერი გელა ტრიბუნაზე იდგა და ფიქრობდა:

— ნეტავი ახლა შინ ვიყო! დედიკოს და მამიკოს როგორ გაეახარებდი!..



მთელი კვირის განმავლობაში თოვდა; დღეს კი გამოიდარა, მზემ გამოაშუქა, მაგრამ მაინც ძალიან ციოდა.

— ამაღამ დიდი ყინვა იქნება, — თქვა მამამ, — მაგრამ არა უჭირს რა, ხვალ ახალი წელიწადია, ბუხარში ცეცხლი დავაგუზგუზოთ და შემოვუსხდეთ.

— მამიკო, საახალწლო საჩუქარი? — შემოეხვივნენ ბავშვები.

— საახალწლო საჩუქარი? აი, დედა ხაჭაპურებს გამოგვიცხობს, მანდარინებს გვიყიდის.

— არა, მამა, ხაჭაპურებს ხომ შევქამთ, ჩვენ გვინდა სხვა რამე, უფრო კარგი.

— ჰოო, სხვა რამე თუ გინდათ, ეს აღვირლი კი არ არის, ამას მოფიქრება უნდა, აბა, დავსხდეთ და მოვიფიქროთ!

ყველანი დასხდნენ და დაფიქრდნენ.

კარგა ხანს ისხდნენ ჩუმად დაფიქრებულნი.

— კამფეტები, — დაიძახა ბოლოს ცილამ.

— კამფეტები ხომ ისედაც გვექნება ახალწელიწადს, — იწყინა რეზომ.

— კინოში...

— არა, კინოში წაყვანას ხომ ისედაც დავკვირდა დედა, — გაჯავრდა ალიკო.

— დიდი ბურთი ფეხბურთისათვის, — წამოხტა ვაბო.

— ოჰ, ფეხბურთი ვის გაუგონია ზამთარში, — შესძახეს ერთხმად ბავშვებმა.

— მოვიფიქრე, მოვიფიქრე, ყველას გაგეხარდებათ, — შესძახა მამამ, — აბა აიღეთ ნიჩბები და ჰერი, ეზოში!

ბავშვები სიხარულით გამოუდგნენ მამას თოვლით სავსე დიდ ეზოში და ნიჩბებით გააკეთეს თოვლის დიდი, გრძელი გორა.

— ახლა ამას წყალი გადავასხათ, — თქვა მამამ, — ამაღამ გაყინავს, და ხვალ, ახალწელიწადს მშვენიერი საციგაო გორა გექნებათ. შარშან რომ შორს, ბესიკის ქუჩაზე ციგაობდით, ახლა ეზოში იციგავებთ, არც ავტომანქანები, არც მოტიციკლები ხელს არ შეგიშლით... ესეც თქვენი საჩუქარი საახალწლოდ.

— ჰო, კარგი საჩუქარია მამიკო! — ყვიროდნენ გახარებული ბავშვები.

ახალწლის დილას ბავშვები გამოვიდნენ ეზოში, გორა გაყინულიყო და მზით გასხივოსნებული ლაქლაქებდა.

ვაბომ, ცილამ, ალიკომ და რეზომ სიხარულით ტაში შემოჰკრეს, რიგრიგობით, ორ-ორი შეუდგნენ ციგაობას და იძახდნენ.

— ოჰ, რა კარგი საახალწლო საჩუქარი მოიგონა მამამ, — რა კარგია, რა გვიხარია!...





ანბანის თავგადასავალი

(იულიან ტუფიშის მიხედვით)

რა განახლო, რა განახლო,
ჩემო ბები, წამო ჩქარა!
ჩვენმა ფისომ ასოები
იატაკზე ჩამოჭყარა.

განს გვერდები შეეღწა,
დამტვრეული ჯანი ჰვეირის,
ღონმა მუსლის თავი იღრმო,
ქანს მოვარდა კონტა ცხვირი.

პარი ორად გადაიყო—
ველარ ვამჩნევ კუდს და თავსა,
ხარი უცბად შეტრიალდა
და ასო ძილს დაემსგავსა.

თანს ღოეები გაუსივდა—
ტკივილი და შიში იგრძნო,
ანი როცა კონს მოვიდა,
ველარავინ ველარ იცნო!

ი. შრივაშვილი

ნახატები გ. ქართველიშვილისა





საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

ნახატი რ. სტურუასი

ი. ინასარი

ბ ა ვ შ ვ ი

ნ ა მ დ ე ი ლ ი ა მ ბ ა გ ი

1943 წლის ზამთარი ახლოვდებოდა.

გულცივ, დამპყრობელ გერმანელ ფაშისტებს ზღვის ცივი ქარიც მოეშველა, მძლავრად დაჰბერა.

ეს იყო დიდი უბედურება პარიზელებისათვის:

ფაშისტების ბატონობით შეწუხებულებს, აკლდათ საქმელიც, ტანსაცმელიც და ახლა სიცივისაგანაც თავი უნდა დაეფარათ.

მაგრამ როგორ?

პარიზს ელექტრო-ენერგია აღარ ჰქონდა. არ იშოვებოდა ქვანახშირი, არც შეშა და ზამთრის მოახლოვებით შეშინებულმა პარიზელებმა გარემომორტყმულ ტყეებს მიაშურეს... ზოგი მათგანი ველურ წაბლს კრეფდა, რომ იმით ბინა გაეთბო, ზოგი ხმელ ტოტებს — ჩინჩხვარსა და ძირკვებს...

ნელლი ხის მოჭრა აკრძალული იყო.

ხის მოჭრის ნება მხოლოდ გერმანელებს ჰქონდათ. პარიზელები უცდიდნენ ხის გასხებას, რომ პატარა ტოტი რგებოდათ. ზოგიერთი პარიზელი მოჭრილი ხის ფესვებს იღებდა, რომ იმით გაეთბო ბინა.

ეს ძალიან მძიმე საქმედ ითვლებოდა: მსურველს განთიადზე უნდა დაეტოვებინა სახლი და მთელი დღე ტყეში განუწყვეტლივ უნდა ემუშავა, რომ დაღამებამდე მოესწრო და ხის ფესვებით ნახევრად დატვირთული ურმით შინ დაბრუნებულიყო.

ასე მოიქცა მუშა პიეროც: მან გარიჟრაჟზე დასტოვა პარიზის გარეუბანი, ცოლითა და ძუძუმწოვარი ბავშვით გაეშურა ბულონის ტყისაკენ. მათ თან მიჰქონდათ ბავშვის სატარებელი ურემი, წერაქვი და ნიჩაბი. ცულისა და სხვა მჭრელი იარაღის ტყეში წაღება აკრძალული იყო.

პიერო, როგორც ჯანდონით სავსე მუშა, ფაშისტებს გერმანიაში უნდა წაეყვანათ იძულებითს სამუშაოზე, მან კი გადაწყვიტა იარაღი აეღო ხელში და ტყვეში გასულიყო... თან ძუძუშეწოვარ ბავშვსა და ცოლს ხომ ვერ წაიყვანდა. ამარაგებდა რითაც კი შეეძლო: ხანთრისათვის უმზადებდა შეშას...

უნდა გენახათ პიერო თუ როგორი ძალით სცემდა წერაქვს მაგარ ნიადაგს, მოჭრილი ხის ძირის ამოსაღებად.

მისი ცოლიც, ნიჩბით ხელში, დაბლა დახრილი, წერაქვს პირიდან მიწას აცლიდა და გვერდზე ჰყრიდა; ქმარს მუშაობას უადვილებდა.

ურემში მყოფი ბავშვი ხან ტირილით და ხან ტრტინით ამხნევებდა და აჩქარებდა მათ ამ მძიმე საქმეში.

მუხის ძირის ამოღებას დიდი ჯაფა, დრო და ძალა დასჭირდა, მაგრამ სალამოსათვის ურემი ფესვებით დატვირთეს.

ბავშვი ურემზე დასვეს, თოკით მაგრად დააკრეს რომ არ გადმოვარდნილიყო და ორივენი ურემში გაეზნენ, გასწიეს სახლისაკენ.

მთელი ღღის მუშაობით დაღლილებინათვის ადვილი არ იყო მძიმედ დატვირთულ ურემის წალემა და უკანასკნელ ძაღლონეს იკარებდნენ, რომ დაღამებისათვის მოესწროთ შინ დაბრუნება. ისინი ბულონის ტყეს გამოსცდნენ, გამოვიდნენ ქუჩაზე თუ არა, ერთი შემოღობილი სახლის წინ შეიარაღებული გერმანელი ჯარისკაცი დახვდათ და უბრძანა: „შესაწვავი ხორცი გვაქვს და შეშა ჩვენ გვჭირდება.“

ცოლ-ქმარს არ უნდოდა მთელი ღღის ნამუშევრის დაკარგვა, მაგრამ ისინი იძულებული იყვნენ ურემი

გერმანელების მიერ დაკავებული სახლის ეზოში შეეთრიათ. გერმანელებმა ურემი დაიტოვეს, ხელმოცოლ-ქმარი თოფის კონდახს ვერც გამოორეკეს. მაშინ მშობლებმა ურემზე დარჩენილი ბავშვისაკენ გაიწიეს და იყვირეს:

— ბავშვი, ბავშვი მოგვეცით!...

ბავშვმა ცსწორედ იმ დროს მართო ხმამაღლა ტირილი. გამწარებული მშობლები ეძგორნენ ურემს, მაგრამ ამოალ: ჯარისკაცებმა ისინი ახლო აღარ მიუშვეს და ცემა-ტყეპით გარეკეს.

„ბავშვი, ბავშვი“ — ყვიროდნენ ისინი, მაგრამ გერმანელი ფაშისტების შიშით აბა ვის რა შეეძლო?

დაღამდა. გერმანელმა ჯარისკაცებმა ცეცხლი გააჩაღეს, მოუსხდნენ სუფრას და ქეიფი დაიწყეს. ამ დროს ბავშვის მამა პიერო ღობეზე ფრთხილად გადაცოცდა, ხელი დაავლო ჯერ თოფს, მერე იქვე ძირს დაგდებულ ატირებულ ბავშვს და გამობრუნდა.

სამშვიდობო შორს აღარ იყო: ბავშვი ღობის მეორე მხარეს მყოფ დედას გადააწოდა და თვითონაც რომ გადახტა, გუშავის თოფმა დაიგრილა, პიერო დასჭრეს... მისი ცოლი არ დაინბა, ქმარს თოფი გამოართვა და მათკენ გამოქცეულ გუშავს გასროლა თვითონ დაასწრო.

დედის ტყვეობით განგმირული გუშავი უსულოდ დეცა... მანამ მას სხვები მოეშველებოდნენ პიერომ და მისმა ცოლმა გზა ბულონის ტყისკენ გაიკვლიეს და იმ დღიდან შინ აღარ დაბრუნებულან. ისინი ბავშვითა და თოფით ხელში თავს ტყეს აფარებდნენ და ელოდნენ დროს, რომ ვერაფერ ფაშისტებზე შური ეძიათ.





სამშენებლო

7. შეეცანე და გეოლოგის
უბრალებს ახალ მიწას.
შინს სიმშვილი გამოცდილია
კოლხეთის ველს ზღარს,
ფეხობრია კარბებთან
შორეულენს დუნის დუნის.

8. ჩამოვინა სიმშენა,
თუღის ძარღვის ოქროს უნა,
სინდომი წველი სხანა მებრ
შინაგული მოვლენა.
საფან და ეს არ შიღის
შინა უნის სანახაგურ,
შევის სიმშენი ტაროვნი
შინს სიმშენად გახვდეთ.

9. ეს წამოვი შინაგული
უვანობა, ამწენა ტოვებს,
ჩინა-ცხენებს აფლანებს,
მტკიცის სანახის ატეგონებს.
შეუ შინაგული გახანებს
სანახის ვაღის შინაგული!

* გასული, მთელი - 1957 - N 11.



ჩვენი პიროვნის
გვენაბნელები*)

სახელები წყვილ ცხვირის

10. სახელები წველი დიდი თინათ
მუცის-მუცის ომბოვად,
შინის ველის შინაგულით
ხედას შინის მოვლენა,
კობე შინის გასაგ ვინის,
ხედას შინის ტენახანის.

11. ეს შინის ჩინი შინი
გაე გახვან და მოვლენ თინათ
შინის შინიგული
შინის ვინის,
სინაგული ადვის თინათ-თინათ,
თინათ სინის თინათ,
გაეგა შინის ვინის.

12. მოვლენებს ვინისგული,
უვლენ შინის შინის თინათ,
ჩინ სინის ეს შინის
და შინის ახანის,
თინათ თინის ადვანებს,
თინათ შინის თინათ.





ბიორბი შაბაკარაშვილი

სკოლის დარაჯი ქალი დეიდა სალომე ლობეს ფრთხილად მიუახლოვდა, წედან სკოლის წინ ახლადგაშენებული ბაღიდან მტკრევისა და ლაწა-ლუწის ხმა შემოესმა.

„ქურდი თუა, რა უნდა მოიპაროს, ბაღში ახალი ნამყენებისა და ყვავილეების მერტი არაფერია“, გაიფიქრა და ლობის ქუქრუტანაში გაიხედა. ბინდდებოდა. დედაბერმა ვერაფერი დაინახა. ხმაური კი ახლა უფრო მკაფიოდ შემოესმა. შიგნიდან ლობისკენ ვიღაც მორბოდა. სალომემ აიხედა და ლობეზე შემდგარი თავისი შვილი-შვილი ნიკო დაინახა. ნიკომ ქურდულად მიმოიხივდა და გადმოხტა.

—აი, შე ონავარო, შენა, ამ დროს ბაღში რას აკეთებდი? — შესძახა სალომემ და ჯოხი მოიმარჯვა. შვილი-შვილი შეკრთა, დაიბნა და ერთ ადგილს გაშეშდა.

—ქურდღელი გამომეპარა წედან, ამ ლობეში შეძვრა და იმას დავეძებდი, — წამოიძახა ნიკომ და თავი ჩალუნა.

—ენახოთ, წავიდეთ შინ... ის ქურდღელიც ენახოთ.

სალომემ შვილი-შვილს უბე და ჯიბეები მოუწხრიკა, ორიოდვე კოჭი და რეზინის შურდული რომ აღმოაჩინა, უფრო გამწარდა და ცელქ შვილი-შვილს გაუწყრა:

—ემეაკობა ვერ მოგაშლევინე, შე საძაგელო შენა... ვასწი, წადი შინ.

კანკებში ჯოხი მიაყოლა, გრძელი, შავი კაბის კალთა აიწია და უკან დაეძევნა. შინ რომ მივიდნენ, სალომემ მაშინვე ოთახის კუთხეს მიაშურა. შინაური თეთრი ქურდღელი ბნელ კუთხეში ნორჩ ბალახს ახრამუნებდა და წითელ, დიდრონ თვალებს აქეთ-იქით აცეკვებდა.

ნახატი გ. ჩოინაშვილი

—აბა, ახლა რაღას იტყვი? — ნინის მოგებით მიუბრუნდა სალომე შვილი-შვილს.

—რა ვიცი, მე კურდღელი მეგონა, იქნებ კატა იყო.

ბებიამ მუქარით შეხედა და სიტყვა შეაწყვეტინა:

—ენახოთ, ხვალ დილით ენახოთ კატა იყო თუ კურდღელი. შენ იქ ტყვილად არ შეხედილოდი. გაშალე წიგნი და გაკვეთილები ისწავლე, შე არამზადავ, შენა!

ნიკომ წიგნი გადაფურცლა, ბებიამ კიბიდან წინდა ამოიღო და ქსოვას შეუდგა.

დილით, სანამ სკოლის ზარს შემოხკრავდნენ, სამასწავლებლოში ნამტირალევი ბიჭი შეგოვიდა და კლასის დამრიგებელს ხმის კანკალით უთხრა:

—პატიცემულო მასწავლებელო, ჩემი ნამყენები წუხელ ვიღაცას დაუმტკრევია! მასწავლებელი ფეხზე წამოდგა და მოსწავლესთან მივიდა.

—რას ამბობ შოთა, აბა ვინ დაამტკრევა და, ალბათ ქარმა მოტეხა, ნამყენებს ვინ რას ერჩოდა?

—არა, მასწავლებელო, — აზლუქუნდა შოთა და უცებ თვალბეჭეტი ცრემლი მოადგა, — რაღა ჩემი ნამყენები დალენა ქარმა?

მასწავლებლები წამოიშალნენ და ბაღში შევიდნენ.

შშვენიერი სანახავი იყო ეს პატარა ბები. ხეხილი ჰყვოდა, ფუტკარი დახვევოდა სურნელოვან ყვავილებს. უწინ აქ მოტიტვლებული ეზო იყო. ომის დროს ბავშვებმა ეზო შემოლობეს, მიწა დაბარეს, ყვავილები და ნორჩი ხეები დარგეს და

გამოუყენებელი ადგილი წალოკტად აქციეს.

შოთას პაპა განტქმული მებაღე იყო. მას შოთასთვისაც ესწავლებინა ხეხილის მყნობა და მოვლა.

პო-და, შოთას ნამყენები ამ ბაღში ყველას სჯობდა. თვალს ახარებდა მათი დანახვა. პატარა ატმის ხეები, გუშინ ვარდისფრად რომ ბრიალებდნენ, ახლა მართლაც მიღეწილ-მოღეწილი ეყარა ღობის ძირას.

— აი, შეხედეთ, ეს ტოტი ვილაკას რამდენჯერმე წნელივით გადაუგრებია და ისე შოუტეხია. — თქვა გულისტკივილით შოთამ და მასწავლებელს ატმის ნორჩი ტოტი მიაწოდა.



4554

— აქ მართლაც რალაც ამბავია! — ჩაფქრებით წამოიძახა მასწავლებელმა, — მართლაც, მარტო შოთას ნამყენებია დამტვრეული. ამ ამბავს გარკვევა უნდა. დარაჯი სად არის, დაუძახეთ!

— დეიდა ხალომე წელან შინისაკენ გარბოდა. — უპასუხა ერთმა მოსწავლემ. ყველა სდუმდა.

მოსწავლეთა ჩვეულებრივი ზუზუნი და ყვირილ-ხივილი მიწყდა. ნამყენების ამბავმა

ყველა ჩააფიქრა. ვინ შემოიპარა სკოლის ბაღში, რად დაამტვრია ნამყენები? მერე და რალა შოთას ნამყენები ამოარჩია?

ეს წუთიერი დუმილი სალომეს მადარღვრა და დაარღვია. ყველამ ბაღის კომპარისკენ გაიხედა.

— ეს არის, ეს, სულ ამის ოინებია! — ყვიროდა სალომე. მას შვილიშვილისათვის საყულოში ხელი ჩაველო და ძალით მოათრევდა.

— რა ამბავია, რა მოხდა? — შეეკითხა გაკვირვებული მასწავლებელი.

— რად მინდა ამისთანა შვილიშვილი... წუხელ მე თვითონ მივასწარი, ბაღში ვადმოპარულყყო. კურდღელი მოიმიზება; ვაი რომ მაშინვე ვერ მიფუხვდი ეშმაკობას, თორემ...

მასწავლებელმა ნიკოს ჩაღუნული თავი გადაუწია, ნამტირალეც თვალეზში ჩაახედა და მკაცრად ჰკითხა:

— ნიკო, ნუთუ მართლა შენ დაამტვრიე ეს ნამყენები?

ნიკო ცრემლებს ულაპავედა. სდუმდა.

— რად დაამტვრე, რად? ან მიინცდამინც რალა შოთას ნამყენები ამოარჩიე? — კვლავ ჰკითხა მასწავლებელმა.

ნიკო ისევ ჯიუტად სდუმდა. უცებ მის წინ მდგარმა, სულ პატარა, ქერათმიანმა ბიჭუნამ გაბედულად წამოიძახა:

— შე ვიცი, მასწავლებელო, გუშინ კალოზე ვკილაობდიო. შოთამ და ნიკომ იჭიდავეს. შოთამ აჯობა და წააქცია. ნიკომ იწყინა და დაემუქრა... ჰო და...

— ჰაი შე, არამზადე, შე, შურიანო შენა! გაჩენებ სეირს! — წამოიძახა სალომემ, მოტეხილ ატმის ტოტს დასწვდა და შიშველ კანკებში რამდენჯერმე გამეტებით შემოჰკრა შვილიშვილს.

— მოიცა დეიდა სალომე, — შეაჩერა მასწავლებელმა განარისხებული დიდელა —

ამ ონავარს ჩვენ მოვეუვლით, საერთო კრებაზე შევარცხვენთ და დავსჯით. მან მარტო შოთას კი არ გადაუხადა სამაგნორო, სკოლასაც მიაყენა ზიანი!

ზარის ხმა გაისმა. მოსწავლეებმა კლასებს მიაშურეს, ნიკო თავჩალუნული მიბარბაცებდა და ხმამალა ქვითინებდა.

— მაპატიეთ მისწავლებელო, მაპატიეთ, აღარ ვიზამ.

შოთა კი ისევ თავის ნამყენებს გასცქეროდა, თავს დანანებით აქნევედა და ჩურჩულებდა:

— კიდევ დავამყნობ, კიდევ, გაისისათვის ახალ ნამყენებს გავაზარებ...



ნამკის ხის სიმღერა

კობტა, ნორჩი ნაძვი ვარ,
მე წინვები არ მცვივა,
ზამთარ-ზაფხულ მწვანე ვარ,
არც მცხელა და არც მცივა.
საახალწლოდ პატარებს
ვეწვევი და ვაზარებ.
წამიყვანენ ზეიმზე,
მერე როგორ მივლიან!
მომკაზმადენ, მომრთავენ,
გარს სიმღერით მივლიან.
როგორ მიყვარს იმათი
ცეკვა, ბტუნვა, თამაში,
მათი სიცილ-კისკისი
და თვლების კაშკაში.
ჩემი მწვანე ტოტის ქვეშ
თოვლის პაპა ხარხარებს,
ბავშვები რომ ხარობენ,
სწორედ მეც ეს მახარებს.

ილია სიხარულიძე
ნახატი ა. სუხაშვილისა



ბავშვებო, თქვენი მშობლები თქვენსავით პატარები რომ იყვნენ, ისინიც გულმოდგინედ სწავლობდნენ საყვარელი პოეტის შიო მღვიმელის ლექსებს. ახლა, როცა წამოიზარდეთ და სკოლის მერხზე ზიხართ, ვიცი თქვენი სასწავლო და საკითხავი წიგნების რიცხვში—ძია შიოს ძვირფასი ლექსების კრებულიც იქნება.

შიო მღვიმელი დაიბადა 1866 წელს გორის მაზრის სოფელ ბრეთში, მისი ნამდვილი გვარი ქუჩუკაშვილია.

8-9 წლის შიო უფროსმა ძმამ გიორგიმ, სოფელ შილდაში (კახეთი) წაიყვანა. მგრძობიარე ბავშვზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ყვარლის მთებმა და ალაზნის ველმა. თავის ტოლ-აშხანაგებს შორის შიომ ყველაზე მეტი ხალხური ლექსები, ზღაპრები და შაირები იცოდა.

11 წლის შიო კვლავ თავის სოფელ ბრეთში ბრუნდება. შემდეგ გორში გადმოდის და კეთილი აღამიანების დახმარებით საოსტატო სემინარიასთან არსებულ, სამოქალაქო ოთხკლასიან სასწავლებელში ეწყობა, რომელსაც აუწერელი ვაჭირვების შემდეგ, 1887 წელს ამთავრებს. სიღარიბის გამო შიომ ველარ შესძლო სწავლის გაგრძელება.

1887 წელს შიო საცხოვრებლად თბილისში გადმოდის, მეგობრების დახმარებით, 1909 წლიდან, ჯერ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, ხოლო შემდეგ სხვადასხვა თურნალ-გაზეთებში იწყებს მუშაობას.

ამ დროიდან იწყება შიო მღვიმელის ნაყოფიერი სამწერლო მოღვაწეობა.

ცნობილ საბავშვო თურნალებში: „ნობათში“, „ჯეჯილში“, „ნაკადულში“, უფრო გვიან კი „პიონერში“ და „ოქტომ-

ბრელში“ ხშირად ქვეყნდებოდა შიოს საბავშვო ლექსები, რასაც ალტაცებაში მოყვავდა ჩვენი ქვეყნის მოზარდი თაობა. მის ყოველ ლექსში, ბავშვების უსახლერო სიყვარულია ჩაქსოვილი, ამიტომ უყვარდათ იგი ბავშვებს და პატრიოსტემის ნიშნად მას საალერსოდ „ძია შიოს“ ეძახდნენ.

მაგრამ ძია შიოს სიყვარულს და ალტაცებას მხოლოდ ის ბავშვი იმსახურებდა, რომელიც წარჩინებული სწავლით და სანიმუშო ყოფაქცევით გამოირჩეოდა.

შიო მთელ რიგ თავის ლექსებში კიცხავს ონავარ ბავშვებს, რომლებიც არ ინდობენ სასარგებლო ფრინველებს: გაზაფხულის მახარობელი მერცხალი გულდაწყვეტილი უსაცედურებს ცელქ ბავშვს:

„შე პაწია მერცხალი ვარ,
მოჭაკაკე, მოაღერხე,
ნეტავი რა დავიშავე,
ქვებს რომ შეხვარი ბავშვს ხეცე!“.

თვითონ, ჩვენს საყვარელ პოეტს, იმდენად უყვარდა ფრინველები, რომ მისი საცხოვრებელი სახლის აივანზე, მუდამ ეყარა პურის ნამცეცები. ამავე დროს შიო

ბავშვებისაგან მოითხოვდა ბუნების სილამაზის — ტყის მოვლა-პატრონობას. იგი ტყის ნამდვილი მეგობარი იყო.

კიდევ ბევრ რჩევა-დარიგებას აძლევს პოეტი ნორჩ თაობას. მის წარმტაც და დრამაზიან ლექსებში შეტეხულნი არიან შობილების და აღიზრდელი მასწავლებლების დამფასებელი ბავშვები.

შიო ბავშვებზე ასეთი გატაცებით იმიტომ წერდა, რომ მათში ხედავდა იგი ჩვენი ქვეყნის საიმედო მომავალს.

ჯერ კიდევ თვითმპყრობელობის სუსხიან წლებში, დიდ ქართველ მწერლებთან ერთად, შიოც განმათავისუფლებელი ბრძოლისაკენ მოგვიწოდებდა:

„ნება რას ნაღვლობ ვაჟაკო,
რას ჩაღვრემილხარ ძალზედა,
თავი აიღე, გამხნედე,
იფიქრე მომავალზედა“ —

ამბობდა პოეტი.

პოეტის ეს მოლოდინი გამართლდა. ოქტომბრის რევოლუციამ მოსპო შრომელი ხალხის ჩაგვრა და მონობა. უკვე

ხანშიშესულმა პოეტმა ასე გამოხატა ეს ალტაცება:

„განთიადის შუქმა დაბკრა,
აღღვარდა სხივთა გროფა,
შავ უფსკრულში იმაღლება
მტაცებელთა მთელი-ხროფა.“



შიო მღვიმელმა საკუთარი თვლით ნახა აყვავებული სოციალისტური საქართველო. ამ ალტაცებას მსოფლიო პოეტი გამოატავდა შესანიშნავი ლექსებით, რომელიც ჩვენს საბავშვო ჟურნალებში იბეჭდებოდა. შიოს დიდი დამსახურება ღირსეულად დაიფასა საბჭოთა მთავრობამ, მას დამსახურებული მწერლის საბატოო სახელწოდება მიანიჭა.

1933 წლის 28 დეკემბერს, შიო გარდაიცვალა. იგი დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

შიო მღვიმელის საყვარელ ლექსებზე მრავალი ნორჩი თაობა აღიზარდა და კვლავაც აღიზრდება. მისი სახელი ძვირფასი იქნება მისთვის, ვისაც უყვარს შრომა, სწავლა და ჩვენი საყვარელი სამშობლო.

სიმონ სხირაშვილი

ჩელუსკინელთა ხიდი



ჩელუსკინელთა ხიდი რა ფართება და დიდი. 'სედ ხეტო დასრიალებს, ჩვენი ტრამვაიც დაჭკრის. შორიდან მოსჩანს კოშკი ასბინიანი სახლის.

ნიკოლოზ ჩაჩავა

ნახატი პ. დათბებაშვილისა



ნახატები ს. გაბაშვილისა.

ლომი, ქარიყლაპია და ადამიანი

ერთხელ, მდინარის პირას ლომ-მა და ქარიყლაპიამ საუბარი გამართეს. ადამიანი კი იქვე, შორიახლო იღვა და უსმენდა.

ქარიყლაპიამ ადამიანის დანახვისთანავე ისკუბა და წყალში გაღახტა.

ცოტა ხნის შემდეგ ისევ შეხვდნენ ერთმანეთს ლომი და ქარიყლაპია.

— რატომ გადახტი წყალში მავინ? — ჰკითხა ლომმა.

— ადამიანი დავინახე...

— მერე რაა, რომ დავინახე?

— რა და, ის, რომ ადამიანი ძალიან მოხერხებულია...

— მაინც როგორია ადამიანი? — შეეკითხა ლომი, — მომგვარე აქ და მე მას შეგვქმა.

წავიდა ლომი ადამიანის საქებნელად. გზაში პატარა ბიჭი შემოხვდა.

— შენა ხარ ადამიანი?

— არა, მე ჯერ არა ვარ ადამიანი, მე პატარა ბიჭი ვარ. ადამიანი რომ გაუხდეს, კიდევ უნდა გავინარდო.

ლომი ვერ მიხვდა ბიჭუნას ეშმაკობას და გზა განაგრძო. გზაზე მოხუცებული შემოეყარა.

— შენა ხარ ადამიანი?

— არა, ახლა მე რაღა ადამიანი ვარ, ოდესღაც კი ვიყავიო, — მოხერხებულად უპასუხა მოხუცმა.

— რა საოცრებაა! ვერსად მიპოვია ადამიანი, — ჩაბურღლუნა ლომმა.

იარა, იარა და შემოხვდა თოფითა და ხმლით შეიარაღებული ჯარისკაცი.

— შენა ხარ ადამიანი?

— მე ვახლავართ, — უპასუხა ჯარისკაცმა.

— უნდა შეგქამო, — შეჰყვირა ლომმა.

— ცოტა მოითმინე, დაიხიე უკან, თართოდ გააღე ხახა, შიგ ხახაში ჩავიხტებიო.

ლომმა დაუჯერა, დაიხია უკან და დაალო ხახა. ჯარისკაცმა დაუმინა და თოფმა იგრიალა. შემდეგ ჯარისკაცმა მიირბინა ლომთან და ხმლით ყური ჩამოათალა.

ლომმა მოჰკურცხლა, მიირბინა მდინარესთან. ქარიყლაპია გამოცურდა ნაპირთან და შეეკითხა.

— რა იყო, ნახე ადამიანი?

— როგორ არა, — უპასუხა ლომმა, — ძალიან მოხერხებული ყოფი-

ლა... დიდხანს მოეუნდი მის მოძებნას. ერთმა მითხრა, ადამიანი წინათ ვიყავიო, მეორემ, — შემდეგ ვავხდებიო, ბოლოს, როგორც იყო, უნახე ადამიანი, მაგრამ არ ვამხარებია მისი ნახვა. მან მიბრძანა უკან დავხეულიყავ და ხახა დამედო, შემდეგ პირდაპირ ხახაში ისე ღონიერად ჩამაფურთხა, რომ ეხლაც მეწვის მთელი ხახა. ენა გამოყო და ისე გაშილოკა ყური, რომ სულ ამატალა.

— სწორედ ამიტომ გეუბნებოდი, რომ ადამიანი მოხერხებულია მეთქი, — უპასუხა ქარიყლანიამ.



კოჭლი იხვი

იყო დედაბერი და ბერიკაცი. ერთხელ ისინი ტყეში სოკოს საკრეფად წავიდნენ. ტყეში კოჭლი იხვი ნახეს და სახლში წამოიყვანეს.

ბუმბულისაგან გაუკეთეს ბუდე და შვიგ ჩასვეს.

მეორე დღეს ისევ წავიდნენ ტყეში სოკოს საკრეფად. მათი წასვლისთანავე იხვი გოგონად გადაიქცა, მორეცხა იატაკი, წყალი მოზიდა და ნამცხვრები გამოაცხო.

დაბრუნდნენ დედაბერი და ბერიკაცი და გაკვირვებულები შეე-

კითხნენ მეზობლებს:

— ვინ დაასუფთავა ჩვენი ქოხი, წყალი ვინ მოზიდა, ნამცხვრები ვინ გამოაცხოო.

მეზობლებმა უპასუხეს:

— აქ ვილაც კოჭლი გოგონა გიზიდავდათ წყალსო.

მეორე დღეს დედაბერი და ბერიკაცი ისევ მოეშადნენ ტყეში წასასვლელად, მაგრამ ტყეში წასვლის მაგივრად იქვე, საკუჭნაოში დაიმაღნენ. იხვი გოგონად გადაიქცა და წავიდა წყლის მოსატანად. დედაბერი და ბერიკაცი გამოცვივდნენ საკუჭნაოდან და იხვის ფრთები ცეცხლში შეყარეს. ფრთები ცეცხლში დაიწვა. დაბრუნდა გოგონა და ცხარე ცრემლით ატირდა. დედაბერსა და ბერიკაცს ოქროს თითისტარი სთხოვა, დაჯდა ბანზე და დაიწყო მატყლის რთვა.

ამ დროს გაღმობიფრინა გედების გუნდმა. გოგონა შეეხვეწა მათ:

— ჩემო კარგებო, გაღმობიგდეთ თითო ფრთაო.





გედებმა უპასუხეს:

— სხვა გედები მოფრინავენ და ისინი მოგცემენო.

ისევ გადაიფრინა გედების გუნდმა, გოგონა ისევ შეეხვეწა:

— ჩემო კარგებო, გადმომიგდეთ თითო ფრთაო.

— სხვები მოფრინავენ და ისინი მოგცემენო.

ამ დროს გადმოიფრინა ერთმა გედმა, მან გადმოუყარა გოგონას ფრთები. გოგონა ისევ იხვად გადაიქცა და გაფრინდა.

ბევრი იტირეს ბერიკაცმა და დედაბერმა, მაგრამ საქმეს ველარაფრით უშველეს.



შ ა რ ა დ ა

გემზე უფრო პატარაა, ცურვა იცის წუნარი; მას წამყვანის ხელი მართავს, აქანავენს ქარი.

პირველ მარცვალს დაიხსომებს გონიერი ბავშვი, (დანარჩენი საცურაოდ გადავუშვათ წყალში).


ცხენი კუდიტ დაატარებს, ხშირად წნავენ მახედ, წინა ასო მოფიქრებულს სწრაფად მიუმატეთ...

გარეული ცხოველია, დაბაჯბაჯებს ხენწით, ბოლო ორი ასო გვინდა (სხვა დატოვეთ ტყეში).

რაც დავწერეთ, შევავერთოთ, ნუ ვიფიქრებთ დიდხანს, საახალწლო სტუმარია, ბავშვებს ძლიერ გვიყვარს.

პასუხები

ქურნად „ღილას“ გასულ ნომრებში მოთავსებულ გასართობებზე „ღილა“ № 6



გია და მსხლმზი

გია ამ აი, ასე გადაალაგა მსხლები და სივრცე-სივრცე ისევ თორმეტ-თორმეტი ცალი გამოვიდა.

„ღილა“ № 8

შირაღი შანძრამი—პირველ ყუთში ყოფილა 16 ფერადი ფანქარი, მეორე ყუთში კი—12.

„ღილა“ № 9

შარაღა—კომკავშირი.

მამოცანები— 1. ხარი, 2. კერძლელი.

ახა წამიქითხით— ალექსანდრე ყაზბეგი.

სურათი-მამოცანა

შწებლობაზე მუშაობს: 1. მონტიორო, 2. ვალატოზი, 3. ინინერი, 4. მეეზოვე, 5. შოფერი, 6. დურგალი, 7. მუედილი, 8. მღებავი, 9. მებანძრე და 10. მეთუნე.

„ღილა“ № 10

ჩასწამრთ და ამოიქითხით—კომკავშირი.

პასუხისმგებელი რედაქტორი რ. მარბიანი

სარიდაქმნო კოლმეხი: გრ. აბაშიძე, შპ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, თ. თუშანიშვილი, მამუ. მამულიშვილი, ი. სიხარულიძე, ე. უნაშკოროვილი, შ. ცხადაძე.



ავტო—„გამარჯვება“

ყაზბეგში რომ წამოფრინდა,
მცხეთის ხიდზე იელვა,
სოფელ-სოფელ ჩაიქროლა,
როგორც უცხო ფრინველმა.

სარკესავით მოელვარე,
ახალი და პრიალი,
მიჭერის ავტო—„გამარჯვება“,
მთები ჩაიგრიალა.

განა უცხო მანქანაა
ოჩანი და ქაქანა—
ჩვენი ხალხისეულია,
საბჭოური მანქანა.

ვერაგ მტერზე ძღვევის ნიშნად
„გამარჯვება“ უწოდეს.
გამარჯვება ახლდეს მუდამ,
გამარჯვება უძლოდეს.

კარგი ძია უნდა იყოს
მაგ მანქანის შოფერი:
დიღმის ბოლოს გააჩერა,
გააკვირვა სოფელი...

მოდი, ბიჭო, შევეხვეწოთ,
განა დაგვაგვიანებს—
საახალწლო სასყიდლებზე
ქალაქს ჩაგვაგრიალებს.

პირანა ლაპინიძე

ყდის პირველი გვერდის მხატვრობა შესრულებულია შ. ცხადაძის მიერ

ზედნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ

ДИЛА — ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ № 12, 1948 г.

გამომცემლობა „კომუნისტი“. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. 1 საათ. ტელ. 3-81-85

გამომცემლობის შეკვ. № 124 სტამბის შეკვ. № 1626/2247 ტირაჟი 7000 უდ 14983 ფასი 5 ჯან.

ტექსტი აწუბობილია ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში. ეგრნალი
ვაბეჭდილია იესეტის სისტემის მანქანაზე „ხარია ვოსტოკას“ სტამბაში, თბილისი, რესთაველის პროსპ. № 42